ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3619018

ნომერი: AR1544361

თარიღი : 26.09.2017

გაცემის თარიღი : 20.10.2017

გაცნობის თარიღი : 20.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუდოლფ ნაზაროვი პ/ნ 01013010068
- თბილისი კიკეთის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 26 სექტემბერს #AR1544361 განცხადებით მომართეს რუდოლფ ნაზაროვმა და მალხაზ კურტანიძემ, რომლებმაც მოითხოვეს სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით, 01.72.14.034.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1313 კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 6 ოქტომბრის №2877810 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: საწყობი, საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა: დამხმარე.
ამჟამად, განმცხადებლები ითხოვენ საპროექტო ობიექტის ფუნქციად საცხოვრებელი და კომერციული ობიექტის დაფიქსირებას და 01.72.14.034.300 საკადასტრო ერთეულის დამატებას, მშენებლობის ნებართვის სტადიაზე ამ ორი ნაკვეთის გაერთიანების პირობით.
დოკუმენტაციის გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდგომ სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური ობიექტი; ფუნქციად დაფიქსირდეს: საცხოვრებელი და კომერციული.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს საკადასტრო გეგმა: (განცხადების ნომერი: 882016199372; მომზადების თარიღი: 01/04/2016); დაემატოს საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.300, ფართობი: 1100 კვ.მ.;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: 1. პროექტის შეთანხმების სტადიაზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთების გაერთიანება და წარმოდგენილი იქნეს გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2. მოეწყოს ბინების შესაბამისი რაოდენობის ღია ან დახურული ავტოსადგომები, რომლებიც უნდა განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვერთის საკადასტროს საზღვრებში;
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფუნქციური ზონას დაემატოს: სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი დანართი განაშენიანების რეგულირების ხაზის დატანით (იხ. დანართი);
6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის №1732837 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.